№ 74 — 1877—1900 — № 74

სამშაბათი, 4 აპრილი, 1900 წ.

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227



## სახალხო სეირნობა სასქელმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ". განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## „შუამავალის"

ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობის გამგეობას აქვს პატივი აუწყოს ბ-ნ ამხანაგობის წევრთა და პატივცემულ საზოგადოებას, რომ მის მაღაზ-აში (თამამშოვის ქარვასლა, პუშკინის ბაღის პირდაპირ) ისყიდება შირიანად ყოველგვარი საუკეთესო ბაკალეული, გასტრონომიული საქონელი და სასმელეული; აგრეთვე სააღდგომოდ ყველა საჭირო სანოვაგეულობა და პასქები. (3—6.—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის **მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**,—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

**ბ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ი. ლ. მარკოვიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, განისა და საშარდესი—$1\frac{1}{2}$—2 საათ.

**სალამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

ქუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი სამგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი**. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი**. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**. $7\frac{1}{2}$—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову


ტფილისი, 3 აპრილი

დღეს აქამომდე სულ ამას სჩივიან, რომ კახურს და ერთობ ჩვენებურს ღვინოს გასავალი არა აქვსო. ეს იმას ნიშნავს, რომ არა აქვს საიმისოდ დიდი ბაზარი და ამიტომ ღვინო ფასად ვერ გადის და ჰზარალობს ამის გამო ვენახის პატრონი და ღვინის დამყენებელი. ეს ჩივილი მართალია. შინაური ბაზარი იმოდენა არ არის, რომ დაიტიოს იმოდენა ღვინო, რამოდენადაც ჩვენში მოდის. ვენახებმა და ღვინის დაყენებამ ძლიერ იმატა ამ ოცს ოცდაათს წელიწადში და ბაზარი კი თითქმის იგივეა, რაც იყო. ამ გარემოებამ გამოიწვია ის ამბავი, რომ გასასყიდი ღვინო ბევრია და მუშტარი-კი ცოტა. ამ მიზეზით ეკონომიური კანონი აღებისა და მიცემისა (спроса и предложенія), რომელიც ფასსა საქონლისას ასწევს და დასწევს ხოლმე, თუ სხვა ყოველივე გარემოება ერთნაირია, იმ დონეზე დადგა, როცა მიცემა მეტია აღებაზე. ამას უეჭველად ფასის ძირს დაწევა მოსდევს. აი სად არის უმთავრესი მიზეზი, რომ ჩვენში ღვინოს ისეთი ფასი არა აქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს და როგორიც ხელ საყრელი უნდა იყოს ამ სახის მრეწველობისათვის.

აშკარაა, ჩვენებურმა ღვინომ მუშტარი უნდა იმატოს, ბაზარი გაიდიდოს და მარტო შინაურს ბაზარს არ დასჯერდეს. გარეთი ბაზარი შორი ბაზარია. იქ რომ ღვინო გავიდეს და ფეხი მოიკიდოს, საჭიროა ჩვენებურს ღვინოს გამძლეობა ჰქონდეს, საჭიროა ღვინომ სასმელად თავი დაიჭიროს და არ წახდეს. ჩვენებურს ღვინოს სწორედ ეს თვისება აკლია, გამძლეობა არა აქვს. ეს იმიტომ კი არა, რომ ბუნებითად ჩვენებური ღვინო ერთობ გამძლე არ იყოს. ჩვენებურ ღვინოსაცა აქვს თვისება გამძლეობისა, ხოლო ბუნებასაც ხელის შეწყობა უნდა, რომ თავისი გაიტანოს. აი სწორედ ჩვენ ეს ხელი გვაკლია და ამიტომაც არც ერთი ღვინის დამყენებელი ჩვენში დარწმუნებული არ არის, რომ მისი ღვინო იმავე ღირსებით მიაღწევს ბაზრამდე, რა ღირსებითაც მარნიდამ ისტუმრებს, დიდხანს გაძლებას ღვინისას ნუღარ იტყვით. ერთის სიტყვით, ჩვენებური ხელშეუწყობელი ღვინო სავაჭრო საქონელი არ არის, ნამეტნავად დიდ გარეთა ბაზრისათვის: იგი ფუჭდება და ამიტომ მუშტარი უფრთხის.

რა არის იმისი მიზეზი, რომ ჩვენებური ღვინო თავს არ იჭერს და ფუჭდება? ყველამ იცის, რომ ღვინოც, თუ ხელს არ შეუწყობთ, სნეულდება, ავადმყოფობს და გარდა იმისა, რომ სხვა, არა-ჩვეულებრივი რაღაც გემო ემატება, მალე მჟავდება, იმღვრევა, თავისს პირვანდელს ფერსა და გემოს ჰკარგავს. მეცნიერებამ გამოარკვია, რომ ამ სნეულების მიზეზი სხვა-და-სხვა მიკრობებია, რომელნიც ღვინოს ეწვევიან ხოლმე აქეთ-იქიდამ და ღვინოში ჰპოულობენ თავისს ხელ-შემწყობს საზრდოს სიცოცხლისა და გამრავლებისათვის და თვით ღვინოს კი ახდენენ და პირვანდელს ფერსა და გემოს უფუჭებენ.

მაშასადამე, თუ გვინდა, რომ ღვინოს ეს უბედურება არ დაემართოს, პირველ ყოვლისა საჭიროა იმისთანა ხელის შეწყობა, რომ ეს მიკრობები გასწყდნენ და ამოიხოცებოდნენ. დაუძინებელმა ბეჯითობამ მეცნიერებისამ გვიპოვა, ღვთის მადლით, ამისი წამალიც.

ყველამ იცის, რომ წყალიც მიკრობების ბუდედ შეიქმნება ხოლმე, წყალიც ფუჭდება და სასმელად არამც თუ არ ვარგულობს, არამედ მავნებელიც არის,

## ფელეტონი

### სიმღერა

ვითომა ვთიბდი ბეჯითად,
ცელს-კი უსვამდი ბალახსა,
წინ მივიბრძვოდი, მივთიბდი
დიყსა, ქუჩსა და შალაფსა.
მეგონა ბევრი გავთიბე,
თავს კარგ მთიბველად ვსახავდი,
იმას რა მომაგონებდა,
თუ მთას უთიბსვე ვნახავდი.
გავხედავ ნამუშავარსა,
ოფლით მორწყულსა მდელოსა,
ვუცქერი: თივა არსად სჩანს,
ქარს მტვერად გაუტანია
და სათიბეში ნივ ღვარს
ლოდები მოუტანია.

ვაჟა-ფშაველა

### წერილები ინგლისიდგან

(საკუთარის თანამშრომელისაგან)

V *)

სიტყვისა და მიტინგის თავისუფლება.—როგორ სდევნიან „პატრიოტნი" ბოერების მეგობართა კრებებს.—დედოფლის ირლანდიაში შესვლა.

ინგლისელი არაფრით ისე არ ამაყობს, როგორც საუკუნოებით შეძენილ იმ უფლებით, რომელიც კრებისა, თათბირისა და სიტყვის თავისუფლებას ანიჭებს. არც ერთს სხვა ქვეყანაში, არც შვეიცარიასა, არც შეერთებულ შტატებში, ნება არა აქვთ მოქალაქეებს ისე თავისუფლად და ხელ-შეუშლელად შეიკრიბნენ შიგ შუა ქუჩებში, მოედნებზედ, ეკკლესიებში და საზოგადო დაწესებულებებში და საჯაროდ თათბირსა და ლაპარაკს შეუდგნენ სარწმუნოებისა, პოლიტიკისა, ზნეობის უპირველეს საგნების შესახებ, როგორც ეს ინგლისშია კრომველისა და მილტონის შემდეგ. ინგლისელებს თავი მოაქვთ ამით და საკვეხურ საგნადაც აქვთ გადაქცეული ეს თავისუფლება და სხვათა აზრის, შეხედულების დაუშლელობა, ატანა, ძალიან ხშირად უკიდურეს, რევოლიუციონურ აზრისა და შეხედულებისაც. ყოველი მიტინგი (ყრილობა) ინგლისში ხელ-შეუხებლად ითვლება; ყოველ კრებას, თუნდაც იგი მთავრობის წინააღმდეგ იყოს გამართული, პოლიციამ უნდა უეჭველად დახმარება და მფარველობა გაუწიოს.

ასე იყო და ყოფილა იმ თავითვე. და აი ეხლა მოულოდნელად განცვიფრებულ და გაკვირვებულ საზოგადოებას მოევლინა ჩემბერლენისა, როდსისა და ამხ. საზიზღარი ვეშაპი ახალის იმპერიალიზმისა, რომელიც, კეტებით შეიარაღებული, დაძრწის ქუჩა-ქუჩა და მოსვენებას არ აძლევს მშვიდობიანობის მოყვარეთა მიტინგებს. პირველად „პატრიოტთა" ასეთმა საქციელმა განაცვიფრა საზოგადოება. მაგრამ შემდეგ, როდესაც ძალ-მომრეობისა და საზიზღრობის სცენები გახშირდა სხვა-და-სხვა ადგილებსა და ქალაქებში, საუკეთესო კაცებმა ამის საწინააღმდეგოდ საჭირო ღონისძიებანი მიიღეს.

მიტინგების გამართვა მარტო-და დემოკრატებმა, რადიკალებმა და სოციალისტებმა დაიწყეს. მიტინგის დროს მათ ყოველთვის მზადა ჰყავდათ რამდენიმე ასი ზორბა, მაგარი მუშა, რომელნიც მზად არიან ხოლმე გვერდები ჩაუმტვრიონ და თავპირი აწყევლინონ ყავახანის „პატრიოტებს", თუ კი ეს „პატრიოტები" გაჰბედავენ და მიტინგზედ გამოჩნდებიან. და, წარმოიდგინეთ, ჩემბერლენის კაცებმა ვერც ერთს ასეთ მიტინგზედ ვერ გაბედეს ვერც მისვლა და ვერც ხმის ამოღება. ამ მიტინგებზედ-კი სიხარულითა და აღტაცებით ეგებებოდნენ უკიდურეს რევოლიუციონერთა და იმათ სიტყვებს, ვინც დაჩაგრულ ბოერებს გულ-მხურვალე თანაგრძნობას უცხადებდა.

— სად არიან ყავახანისა და საყომარბაზო სახლების „პატრიოტნი"?—კითხულობდნენ რევოლიუციონერნი.

— ისინი ვერ გაბედავენ აქ მოსვლას,—ეუბნებოდნენ მათ.—ამ „პატრიოტებს" როდსისა და ჩემბერლენის აგენტები მხოლოდ უწყინარ, გულკეთილ და სუსტ მოქალაქეთა წინააღმდეგ აქეზებენ. თქვენი-კი ეშინიანთ, რადგანაც შეიძლება ნამდვილი ჩხუბი, უწესოება მოხდეს და ასეთი უწესოება და ჩხუბი-კი ჩემბერლენისთვის ჯერ-ჯერობით სასურველი არ არის...

მაგრამ „ჯერ-ჯერობით" რაღაა? ნუთუ ინგლისის სახელმწიფო კაცს შეუძლიან შეითვისოს ნაპოლეონ მე-III-ის დროის პოლიციის ხრიკები და ხრიკების შემწეობით განგებ მოახდინოს უწესოებანი, რომ შემდეგ თვითვე დამშვიდებასა და დაწყნარებას შეუდგეს?

არა, ეს ინგლისელთ დავთარში არ უწერიათ, იგი ინგლისის საერო პოლიტიკის ტრადიციას არ შეეფერება. მაგრამ შორ მხედველი კაცები მაინც შიშით თავს იქნევენ და ეჭვის თვალით უყურებენ მომავალს. ჩემბერლენი იმ გვარი კაცია, რომელსაც არც პრინციპები და ტრადიციები აქვს და არც მამა-პაპათა ანდერძი სწამს: ჩემბერლენმა ყველას უღალატა, ეს კაცი ყველაფერზედ დიდად მხოლოდ ჯიბის გასქელებასა და სახელის მოპოებას სთვლის. „ვინ იცის,—გამიგონია არა ერთხელ,—რას ჩაიდენენ ეს კაცები, როდესაც დაბრუნდება ჩვენი ჯარი სამხრეთ აფრიკიდგანაო?"...

მაგრამ ამ პესსიმისტთა შიშს მე არავითარს მნიშვნელობას არ ვაძლევ. საზოგადოებრივს ცხოვრებას ინგლისში არც მაგრე რიგად დაჰბნევია კვალი და არც იმდენად გადაუხვევია განვითარების გზიდგან როგორც ამ პესსიმისტთა ჰგონიათ, და ამის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთად პარლამენტის თვით ის კრება, რომელზედაც ლაპარაკი ამ უწესოებათა შესახებ იყო.

იმ დროს, როდესაც რადიკალთა და მუშათა ორკანიზაციებმა ძალას

*) იხ. „ივერია" № 68.

როცა ეს ჭირი გაუჩნდება. ამას წინად ჟურნალ-გაზეთებში ამოვიკითხეთ, რომ განწმენდა და მიკრობებისაგან დახსნა სასმელის წყლისა შესაძლებელი და ადვილი საქმეა ელექტრონის შემწეობით. ეს უცდიათ საფრანგეთში, სახელდობრ, ქალაქს ლილში და დაუნახავთ, რომ უკეთესი წამალი მიკრობების გასაწყვეტი და სასმელის წყლის გამოსაკეთებელი ელექტრონია: სრულად თურმე სწმენდს წყალს ასე, რომ მიკრობების ნატამალსაც არ არჩენს. ესევე დონე უხმარიათ ღვინის გასაწმენდადაც მიკრობებისაგან. ქ. რიხცერს *) ამ ბოლოს ხანებში უცდია აქაც ელექტრონი და გასაშტერებლად გამოჭყენებია. ჯერ ყოვლით უწინარეს უნდა თურმე პასტერის მეტოდით მოექცნენ ღვინოს, ადუღებულს 56—64 რეომურის ტერმომეტრის გრადუსამდე და მერმე მიუშვან ელექტრონი.

საქმე ის არის, რომ პასტერის მეტოდით ღვინოს სუნი, ბუკეტი ეკარგება და ელექტრონი ამ დაკარგულს სუნს ისევ აღუდგენს თურმე ღვინოსა. გარდა ამისა, ღვინოს ეძლევა ყოველივე სიკეთე ძველის ღვინისა და დიდი გამძლეობა. სუსტი ღვინოც, რომელიც სასიამოვნო სასმელია, რადგანაც ცხარე არ არის, და რომელიც ძალიან მალე ფუჭდება, იგიც-კი ელექტრონის შემდეგ გასაძლისად კეთდება და დიდხანს იჭერს თავს. ამასთან ღვინო ისე თურმე. როგორც ანკარა წყარო.

სასურველია, რომ ჩვენებურებმა ამ საგანს ყურადღება მიაქციონ და შეეცადონ ამ გზით ჩვენებურს ღვინოს ის ადგილი დააჭერინონ საქვეყნო ბაზარში, რის ღირსიც არის თვისის ბუნებურ სიკეთითა და მით მუშტარი მოიმატონ. კიდევ ვიტყვით: ეხლანდელი ჩვენებური ღვინო საბაზრო საქონელი არ არის, რადგანაც ხელ შეუწყობლობის გამო თავს არ იჭერს და მისი ფერის და გემოს ადვილად ცვლა და ადვილად გაფუჭება, წახდენა მუშტარს აფრთხობს.

*) იხ. ელპეს წერილი „Новое Время“-ში № 8651, 1900 წ.

## ახალი ამბავი

⁂ თ. შიხი ტუსიევისა, ვ. ბარათოვისა, გ. ოსიტაშვილის და ა. ტერ-შმოვანოვის საქმე, რომელთაც გაბაშვილის მოკვლა ჰბრალდებოდათ და ტფილისის სამოსამართლო პალატამ ოთხ-ოთხი წლით კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტა, სენატმა ეხლა ხელ-მეორედ დაუბრუნა პალატას კვლავ განსახილველად, ასე რომ ეს საქმე პალატამ ეხლა მესამედ უნდა განიხილოს.

⁂ განზრახვა აქვთ ტფილისში დააარსონ კლუბი, რომლის წევრადაც ჩაწერა ყველას შეეძლება. წესდების შესადგენად ამ დღეებში მოწვეული იქნება კრებაო.

⁂ კავკასიის უმაღლესის მთავრობის მიერ შუამდგომლობა იქმნა აღძრული შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ ტფილისის გუბერნიის სამის მაზრის: ახალქალაქისა, გორისა და დუშეთის მცხოვრებლებს მინდვრების შესამუშავებლად მიეცეთ დახმარება: ახალქალაქის მაზრას— 18,000 მან., გორისას—5,000 მ. და დუშეთისას—27,000 მანეთით.

⁂ ავლაბრის მცხოვრებლებს თხოვნა მიუციათ ტფილისის სავაჭრო და სამრეწველო კომიტეტისათვის, რომ განზრახული კომერციული სასწავლებელი ავლაბარში იქმნას დაარსებული, რადგანაც ქალაქის ამ ნაწილში არც ერთი საშუალო სასწავლებელი არ არსებობს და აქ უფრო იაფად შეიძენენ მიწას სასწავლებლის შენობისათვისაო.

⁂ შაბათს, 1 აპრილს, ქალაქის საბჭოს სასწავლებელთა კომისიამ განიხილა მომავალ სახალხო თეატრისათვის ადგილის დათმობის საქმე და დაადგინა: რადგანაც სიფხიზლის საზოგადოებისა და სახალხო კითხვათა კომისიის დანიშნულება ახლოა ხალხის განათლების საქმესთან, რასაც ქალაქის თვით მართველობა ყოველთვის განსაკუთრებულის თანაგრძნობით ეკიდება, ჩვენს ზნეობით მოვალეობადა ვრაცხთ შუამდგომლობა აღვძრათ საბჭოს წინაშე, რომ რაც შეიძლება, მეტი შემწეობა აღმოეჩინოს ამ საზოგადოებასაო. ხოლო რაც შეეხება სახალხო თეატრისათვის დათმობილ ადგილს, ზომით 166,8 ოთხ-კუთხ საჟენს, კომისიას შეუძლებლად მიაჩნია, რომ ეს ადგილი ეყოს როგორც თეატრის შენობას, აგრეთვე ქალაქის ორს სასწავლებელს. ამიტომ თავისის მხრით საჭიროდა სთვლის, სთხოვოს ქალაქის საბჭოს, რომ ამ საქმისათვის ანდრეევის ქუჩაზედ ბ-ნ ისარლიშვილს მისი ადგილი, რომელიც 200 ოთხ-კუთხი საჟენია, გამოერთვას და იმის ნაცვლად სხვა ადგილი დაეთმოს.

⁂ რუსეთის საიმპერატორო საზოგადოების განყოფილებამ კავკასიაში შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, რომ ნება დართონ მომავალ წლის შემოდგომაზედ მეაბრეშუმეთა კრება მოვიწვიოთო. ამ კრებამ უნდა განიხილოს მეაბრეშუმეთა და აბრეშუმის წარმოების საქმე, მათი მდგომარეობა და საჭიროება.

⁂ 21 აპრილს, საღამოს 8 საათზედ, საგუბერნიო გამგეობის სადგომში მოხდება რუსეთის საიმპერატორო წყლის განსაცდელისაგან დამხსნელ საზოგადოების ტფილისის განყოფილების წევრთა კრება. კრებამ უნდა მოისმინოს ამ საზოგადოების საოლქო გამგეობის 1899 წლის ანგარიში, დაამტკიცოს სარევიზიო კომისიისა და გამგეობის ანგარიშები ამავე წლისა და აარჩიოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები მომავალის სამის წლისათვის.

⁂ მკითხველებს ეხსომებათ, რომ სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ დავა აუტეხა ქალაქის თვითმმართველობას, რომ ხაზინის საკუთრებას შეადგენს პოლიციის მე-6 ნაწილში გაყვანილის ვარანცოვის გზატკეცილიო“. ქალაქის გამგეობამ 31 მარტს მოისმინა ეს საქმე და აგრეთვე ქალაქის იურის კონსულტის მოხსენება, რომელიც სწერს, რომ ეს სადაო ადგილი ქალაქის ქუჩა არისო, და დაადგინა: შეატყობინოს სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს, რომ გამგეობა ვერ სცნობილობს ამ მიწაზედ მის უფლებას და ამიტომ სთხოვოს გაწმენდილ იქმნას ეს ადგილი ტერ-ვართანიანცის ახლის ასაშენებელ მასალისაგანაო.

⁂ ქალაქის გამგეობის განკარგულებით კვების კვირაში იარმუკაზედ ხუთმა სავაჭრო პოლიციის ზედამხედველმა უნდა ადევნოს თვალ-ყური სანოვაგით ვაჭრობას.

ტფილისის პოლიცმეისტერმა უბრძანა პოლიციის მოხელეებს აგრეთვე ადევნონ თვალ-ყური მოვაჭრეებს და განსაკუთრებით ყურადღება მიაქციონ ჩარჩებს ვერაზედ, კახეთის მოედანზედ, ერევნის ქუჩაზედ და შემწეობა აღმოუჩინონ სავაჭრო პოლიციის ზედამხედველებს.

⁂ ქალაქის გამგეობამ 31-ს მარტს დაამტკიცა ცხენის რკინის გზის ზედამხედველ კომისიის დადგენილება. ამ დადგენილების ძალით ხუთი მანეთი ჯარიმა გადახდება უსახელო საზოგადოებას ყოველ იმ შემთხვევაში, თუ ცხენის რკინის გზის მოსამსახურენი უზრდელად მოექცნენ მგზავრებს.

⁂ ქუთაისი. აქაურ ქალაქის თვითმართველობას განზრახვა აქვს იშუამდგომლოს სადაც ჯერ-არს ქალაქის ლომბარდის დაარსებისა და ამისთვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ.

⁂ ს. ხუნდისუბანი, (გორის მაზრა). აქ სახადი გაჩნდა და რამდენიმე კაცი უკვე იმსხვერპლა. სახადი შიათურის მუშებმა გადმოიტანეს.

⁂ სოხუმი. სოხუმის ქალაქის რწმუნებულთ დაადგინეს: მიეცეს ყოველ წლობით 600 მ. ადგილობრივ ეკკლესიას მგალობელთა დასის შესანახად.

⁂ ალაგირი, (ოსეთი). 27 მარტს აქაური ქართველი გლეხი—ივანე გაგადაშვილი, სოლომონ სხირტლაძე და გიორგი ლომჯანიძე სახნავად იყვნენ გასული მინდვრად. შუადღისას, როცა გაცხარებული მუშაობა ჰქონდათ, უცბად მახლობელი ტყიდგან გამოცვივდა რვა შეიარაღებული ცხენოსანი ოსი და დაუშინეს მათ თოფები. გლეხები შეშინდნენ. ავაზაკებმა მაშინვე გამოხსნეს გუთნიდგან ცხრა ცხენი და გაჰქურდნეს. გლეხები წამოვიდნენ ყანიდგან და გამოუცხადეს ალაგირის ბოქაულს, რომელმაც მაშინვე აფრინა ჩაფრები ავაზაკების დასაჭერად, მაგრამ ამაოდ ჩაიარა ყოველმა ცდამ. ჩაფრებმა ამბავი მოიტანეს, რომ „იქ ვერა ვნახეთო“.

⁂ ხ. ნაფარეული, (თელავის მაზრა). აქ სიმთვრალის დროს მიკიტანი ვ. მ. გუნდუაშვილი დასჭრა მმათ მუცელში მახა გოგიაემა. ამბობენ, ერთმანეთშორის მტრობა ჰქონდათ— „როგორათუ შენ ბევრს ღვინოსა ჰყიდი და ბევრი მუშტარი გეტანებაო“. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ისე კვირა არ გავა, ვისმეს თავი არ გაუხეხონ აქაურს დუქნებში.

⁂ კავკასიის უმაღლესის მთავრობის წინაშე ბრმათა სამზრუნველო გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, რომ უსასყიდლოდ შეეძლოთ წამლობა ტფილისის უსინათლოთა სასწავლებლის მოსწავლეებს მიხეილის საავადმყოფოში.

⁂ დ. აბაშა, (სენაკის მაზრა). ჩვენის დაბის დიდს ნაკლულევანებას შეადგენს სამკითხველოს უქონლობა, მაგრამ ამ ნაკლის გასწორება განიზრახა ბ-ნმა მ. ესაკიამ. თუ სხვებმაც ხელი შეუწყეს, იმედია, ჩქარა ვეღირსებით სამკითხველოს.

⁂ ტფილისის ქალაქის სავაჭრო სამეურნეო პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა ბ-მა ჯამბაძარმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნას საჭირო ფული მუხრანის ბორანთან დროებით ცხვრის საკლავის ადგილის გასამართადაო. გამგეობამ 31 მარტს ეს თხოვნა შეიწყნარა და დაადგინა, გადადოს ამ საქმისათვის 40 მანეთი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ მცირე წერილს თქვენს პატივცემულს გაზეთში ადგილი დაუთმოთ. თანახმად ქ. ტფილისის სამღვდლოების დავალებისა, ჩვენ შევუდექით ქართული ქადაგებების კრებულის გამოცემას, რაზედაც უკვე მივიღეთ სრული თანხმობა და კურთხევა მისის მაღალ-

---

მიჰმართეს და მუშტის შემწეობით მოისურვეს ყავახანების „პატრიოტთა“ თავ-გასულობის ალაგმვა, პროგრესისა და თავისუფლების ზომიერმა მეგობრებმა უფრო მშვიდობიანი საშუალება იხმარეს: ლიბერალთა უმცირესობამ ლაპარაკი აღძრა პარლამენტში ამ უწესოებათა გამო და განცვიფრებულმა იკითხა, რატომ სამინისტრო მხნე საშუალებას არ იხმარებს ინგლისის მოქალაქობრივისა და თავისუფლების უფლებათა დამრღვეველთა წინააღმდეგ.

მინისტრების—ბალფურისა და რადლეის—პასუხი განსაცვიფრებელი და გასაოცარი იყო. პირველი არწმუნებდა პარლამენტს, ხალხის აღტაცებამ იქამდე მიაღწია, რომ ბრბო ველარ ითმენს იმათ აზრსა და სიტყვებს, ვინც ომისა და ამინისტროს წინააღმდეგ ჰლაპარაკობსო. „ნუ მოსთხოვთ კაცის ბუნებას იმაზედ მეტს, რაც შეუძლიანო“! დაამთავრა მინისტრმა. ხოლო რადლეიმ მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ბრბო მარტო იმ კაცების მიტინგებს სდევნიდა, რომელთაც სახელი არა აქვთ მოპოვებული, ამიტომ არც მოხელეების ჩარევა იყო საჭიროო.

მინისტრთა ამ უცნაურმა სიტყვებმა მთელი ალიაქოთი მოახდინა პარლამენტში. ჰკვიანმა კაცებმა აღნიშნეს, რომ ბ-ნნი მინისტრნი ბრბოს ძალ-მომრეობასა ჰქადაგებენ, ველურ ძალ-მომრეობასაო, არც მეტსა და არც ნაკლებს. მართლა და ვისა აქვს ამ ჟამად ყველაზედ ნაკლები სახელი ინგლისში? რასაკვირველია, ჩემბერლენს, რომელსაც კონსერვატორებიც-კი ძლივს იტანენ. მაშასადამე, ბრბოს სრული ნება აქვს გვერდები ჩაუმტვრიოს ამ მინისტრს, გაანადგუროს იმისი სახლი? ან არა და, კანონიერი იქმნებოდა, როგორც რკინის გზის მუშამ დეპუტატმა მადისონმა აღნიშნა ჰოლანდიელ მეთევზეთა და მათ ცოლ-შვილთა შეთქმულობის დროს, ეს შეთქმულნი თავს დასცემოდნენ წარმოების პატრონს, რომლის წყალობითაც მეთევზენი მშივრები არიან?

მადისონის სიტყვებმა საშინლად გაამწვავა სამინისტროს მეგობარნი, რომელთაგანაც მრავალი ზემოხსენებულ წარმოების პატრონია. მათ ჰკუაში არ დაუჯდათ სიმართლე და ჭეშმარიტება და ამის გამო თვით პარლამენტში ისეთს უწესოებას მიჰყვეს ხელი და ისე შეუფერებლად იქცეოდნენ, რომ პალატის საუკეთესო ორატორმა ირლანდიელმა ხეილმა სამართლიანად გადასძახა ამ უმრავლესობას:—„ჩვენ (უმცირესობა) აქ იმიტომა ვართ, რომ დავამთავროდ თქვენი აღზრდაო“. ეს კია, რომ ამ საქმეში ოპოზიციის ორატორებს დიდი შრომა და მეცადინეობა დასჭირდებათ, ისე არიან ჩაფლულნი ეს ვაჟბატონნი ანგაარებისა და ჯიბის გასქელების მორევში.

—

შინაურ პოლიტიკაში ყველაზედ მეტად საყურადღებო მოვლენას შეადგენს მოხუცებულ დედოფლის ირლანდიაში წასვლა. ყველამ კარგად უწყის, რომ ოფიციალურ ინგლისსა და დედოფალს მაგრე რიგად არ უყვართ „მწვანე ერინი“*) და იქ მცხოვრები ხალხი. თვით ირლანდიელნი როგორც სამშობლოში, აგრეთვე ამერიკაში მარჯვე შემთხვევას ისე არ სტოვებენ, რომ თვისი სიძულილი და მტრობა არ გამოუცხადონ მტანჯველებს. ასე იყო წინად და ასევე მოხდა ამ ომის დროსაც: ირლანდიელებმა გულითადი თანაგრძნობა და მეგობრობა გამოუცხადეს ბოერებს. ამ ჟამად ბრძოლის ველზედ სამი ათასამდე ირლანდიელი უჭერს იხარს ბოერებს და იმათ გულისათვის სისხლსა ჰღვრის ბრძოლის ველზედ.—ირლანდიის ერთმა უკეთილშობილესმა მამულიშვილმა მიკელ დავიტმა საჯაროდ გაჰკიცხა ეს ომი, პარლამენტის წევრობას თავი დაანება და განაცხადა, პატიოსან კაცის დამამცირებლადა ვთვლი იმ უმრავლესობასთან ერთად პარლამენტში ყოფნას, რომელიც თანაუგრძნობს ძალ-მომრეობასა და მონობასაო. დავიტის ამომრჩევლებმა იმის ადგილას კანდიდატად ბრიდი წამოაყენეს, ბოერებთან ერთად ინგლისელების წინააღმდეგ მებრძოლ ირლანდიელთა რაზმის უფროსი. ირლანდიელი დეპუტატები მთავრობის ოპოზიციას შეადგენენ, თითქმის ყველანი ჰგმობენ და ჰკიცხავენ ამ ომს... და ამ დროს მოულოდნელად მოხუცებულ დედოფლის პოლიტიკურ მგზავრობას ჰმართავენ უკმაყოფილო ირლანდიელთა ქვეყანაში, იმ დედოფლისას, რომელიც 36 წელიწადი იქმნება, რაც ირლანდიაში არა ყოფილა; დაიწყეს ტარება იქამდის დევნულ მწვანე ყვავილისა—ირლანდიის საერო ყვავილისა; გულ-მოდგინედ შეუდგნენ ირლანდიურ საღამოების, ბალების გამართვას, რომელსაც თვით სამეფო გვარეულობის წევრნიც-კი ესწრებიან...

*) ასე ეძახიან ირლანდიის კუნძულს.

მერე რისთვის? ნუ თუ იმისთვის, რომ ირლანდიელთა რაზმი მამაცად დაუხვდეს ხოლმე ბოერების ქვეითა ჯარსა და არტილერიას? ან, როგორცა ჰფიქრობენ პოლიტიკოსნი, ინგლისელები იმიტომ ევლებიან თავს, რომ საფრანგეთთან ომს მოელოდებიან?

ჩემბერლენის სამწუხაროდ საფრანგეთთან ომს რომ არც ინგლისისა და არც საფრანგეთის ხალხია მოწადინებული, ამისი მრავალი მოწმობაა და შემდეგს ერთ-ერთ წერილში ვეცდები დავანახვო მკითხველებს, ვინა ჰყვირის და ვისა ჰსურს ომი ორსავე ამ სახელმწიფოში. ხოლო რაც შეეხება ირლანდიასთან შერიგებას, ეს შერიგება მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც ირლანდიას თვით-მმართველობა მიენიჭება და მისნი შვილნი განთავისუფლებულნი იქმნებიან ინგლისელ მიწისმფლობელთა ეკონომიურ მონობისაგან.

ვ. მარველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკლებლივ სამღვდელოებისა სრულიად საქართველოის ექსარხოსისაგან. ამ ჟამად ამ კრებულში განვიზრახეთ მოვათავსოთ ის ქადაგება-მოძღვრებანი და სიტყვანი, რომელნიც სხვა-და-სხვა დროს ქართულს ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილან.

ამისთვის უმორჩილესად ვსთხოვთ ყველა ავტორებს, რომელთაც-კი ზემორე მოხსენებულს ჟურნალ-გაზეთებში დაუბეჭდიათ ქადაგებანი, თუ არ არიან თანხმანი ჩვენ მიერ განზრახულს კრებულში გადავბეჭდოთ, წერილობით გვაუწყონ დღეიდგან ერთის თვის განმავლობაში.

მღვდელნი: ნ. მაჭარაშვილი, კ. ცინცაძე და ა. თოთიბაძე

## ტენორი მიხეილ ნანობაშვილი

ქართველი ახალგაზდობა რომ ამ უკანასკნელ ხანს შესანიშნავს ნიჭს იჩენს გალობასა და მუსიკაში, ამას ჩვენმა და რუსთა საზოგადოებამაც უკვე მიაქციეს ყურადღება. ხოლო ამ ახალგაზდათა შორის ყველაზედ დიდს იმედს იძლევა ქოზიყელი მიხეილ ირიდიონის ძე ნანობაშვილი, რომლის გალობას „Новое Время“-ს სპეციალურმა სათეატრო და სამუსიკო კრიტიკოსმა, ბატონმა ი—ვმა, საკუთარი წერილი უძღვნა. ამ გაზეთის მე-8643 №-ში, 20-ს მარტს, ბ-ნი ი—ი სწერს: „ქ-ნმა ფერნი ჯირალდონმა, პეტერბურგის კონსერვატორიის გალობის პროფესორმა გუშინ საკრედიტო დარბაზში გამართა თავისთა კერძო კურსებზედ გალობის მოსწავლეთა გამოცდა. ამ გამოცდამ ჩვენზედ ფრიად კარგად იმოქმედა. ისინი, რომელთაც ადრე უგალობნიათ ამნაირსავე გამოცდაზედ, როდესაც ახლად იწყობდნენ გალობის შესწავლას, ეხლა იქამდის დახელოვნებულან, რომ სიამოვნებით ვუგდებდით ყურს. ხმა ყველას ერთნაირი არა აქვს, რასაკვირველია, — ხოლო იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გაუსწორდებათ ხმა, ვისაც ეხლა ჯერ სუსტი და შეუმუშავებელი აქვს. რაიც შეეხება მუსიკალურ მხარეს მათის გალობისას აქაც დიდი სხვა და სხვაობა სჩანდა, იმის მიხედვით, თუ ვინ რამდენად არის დაჯილდოვებული ბუნებრივის ნიჭით. ხოლო ჯირალდონის სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ მისის სკოლის ზედ გავლენა ყველა მოსწავლეს ეტყობოდა. უკლებს მათგანს ტკბილი და სასიამოვნო ხმა აქვს, რითიც ასე განირჩევიან იტალიელნი. ყველაზედ შესამჩნევი გავლენა კარგის სკოლისა ატყვია ახალგაზდა ტენორს მ. ნანობაშვილს, რომელმაც მართლაც-და წინ გაუსწრო ყველა ახალგაზდა ტენორებს, რომელთაც-კი ბოლოს დროს იჩინეს თავი. ბ-ს ნანობაშვილს ჯერ გალობის კურსი არ დაუმთავრებია, ხოლო ხმა მისი და მასთან, ვფიქრობთ, ბუნებრივი ნიჭიერებაც თავდებია, რომ იგი ისეთი ტენორი დადგება, რომელიც დაამშვენებს ჩვენს საოპერო სცენას. მისი ხმა ლამაზია, წკრიალა და ამასთან ნაზიც. მაღალ ფარდამდე ხმას ისე თავისუფლად სწევს, თითქოს ჭყუმბრობს, რაც არ არის მოსალოდნელი და განსაცვიფრებელია ისეთის მგალობელისაგან, რომელსაც ჯერ არ დაუმთავრებია სწავლა. აი ვინ არის ღირსი ყურადღებისა ჩვენის საოპერო სცენების დირექტორების მხრივ!“..

ამას ჩვენ დავძენთ, რომ წელს ზაფხულს ქ-ნ ფერნი-ჯირალდონს ნანობაშვილი იტალიაში მიჰყავს თავისთან, იქ დაამთავრებინებს კურსს და პირველად საგალობლად იტალიის სცენაზედ გამოიყვანს.

მიხეილ ნასიძე

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

პორტუგალიამ ნება დართო ინგლისს ჯარი გაატაროს ბეირუზედ. ამით მან დაარღვია თავისი ნეიტრალური მდგომარეობა ბურების რესპუბლიკასთან. პორტუგალია ასე ჰმართლდება თავს: იძულებული ვიყავ ამ სახელმწიფოსათვის გზა მიმეცა ბეირუზედ. იმ ხელშეკრულობის ძალით, რომელიც ინგლისთან მაქვს დადებულიო. მაგრამ ეს ვერაფერი გასამართლებელი საბუთია, რადგნაც მან მისცა ინგლისს გზა თავისს სამფლობელოზედ და ამით დაარღვია საზოგადო წესი ნეიტრალურ სახელმწიფოებისა. თუ ინგლისთან მას რაიმე ხელშეკრულება ჰქონდა, რა შუაში იყვნენ აქ ბურები, რომ მათზედ მისულ მტერს პორტუგალიამ ჯარის გადასაყვან გზის დათმობით ძალა შეჰმატა. ეს არის პირდაპირი დახმარება ომის ველზე პორტუგალიის მხრივ ინგლისისადმი. ვერ ამართლებს პორტუგალიის საქციელს ვერც ზნეობრივი და ვერც იურიდიული კანონი. როგორ შეხედავენ ამ ამბავს დანარჩენი სახელმწიფონი, ჯერ არ ვიცით.

ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი, რომელმაც რობერტსის რაზმი შეაფერხა ომის ველზე ის არის, რომ რობერტსს რამდენიმე ათასი ცხენი დაეხოცა. განერალ ფრენჩს 8,000 ცხენი მოუკვდა, როდესაც იგი კიმბერლეის განსათავისუფლებლად მიდიოდა. ბლუმფონტენთან ინგლისელებს დაჰკლდათ 4,000 ცხენი. მდინარე რიტთან ბურებმა წაართვეს ინგლისელებს რამდენიმე ფურგუნი და 3,000 ცხენი. აი სწორედ ამ ცხენების ნაკლულევანებაა მიზეზი, რომ დღეს რობერტსის ჯარი ვეღარ მოძრაობს ისე სწრაფად, როგორც წინედ, ამიტომ ინგლისის ჯარის მთავარ სარდალი იძულებულია იტრიალოს რკინის გზის ახლო-მახლო.

ამ ჟამად ბურები ბლუმფონტენისაკენ მიდიან ჩრდილოეთიდამ და აღმოსავლეთიდამ; ჩრდილოეთიდამ მიდის 7,000 და აღმოსავლეთიდამ 6,000 ჯარის-კაცი. ბლუმფონტენთან ინგლისის ჯარს შეეტაკება სულ 13,000 ბური. მაგრამ როგორც სჩანს, ბურებს არა სწადიათ პირდაპირი ბრძოლა რობერტსთან, რადგანაც ინგლისის ჯარი ერთიორად აღემატება რიცხვით ბურების ჯარს. ისინი გამაგრებულ სანგრებიდამ დაუწყებენ ბრძოლას ინგლისელებს.

წარსულ მარტის განმავლობაში ინგლისელების ჯარს სამხრეთ-აფრიკაში კიდევ მიმატებია: 1,169 აფიცერი და 33,627 ჯარის-კაცი. გარდა იმ რაზმებისა, რომელნიც ომის დაწყების დროს გაგზავნა ინგლისმა, კიდევ გაგზავნა ბრძოლის ველზე სულ 146,413 მეომარი.

## ბ-ნ ანთიმოზ ჯუღელის წერილის გამო.

გაზეთ „ივერიის“ მე-56 №-ში დაბეჭდილია ბ-ნ ჯუღელის წერილი „ბახვის სკოლის არსებობის 25 წლის შესრულების გამო“. ბ-ნ ჯუღელის ყურადღება იმ გარემოებას მიუქცევია, რომ ამ ორის წლის წინად რამდენიმე ახალგაზდამ განიზრახა ბახვის სკოლის 25 წლის ნაყოფიერი არსებობის დღესასწაული გარდაეხადა და ეს დღესასწაული რომელიმე საქველმოქმედო საქმით დაეგვირგვინებინა, მაგრამ ეს განზრახვა დღემდის განზრახვად დარჩა. ამ დღესასწაულის დასაგვირგვინებლად და ბახველების საკეთილ-დღეოდ ბ-ნი ჯუღელი გვირჩევს შევკრიბოთ ერთმანეთის შორის ფული და ამ ფულით ბახვში, სოფლის სახელზე, ამერიკული გეგმის, ეგრედ წოდებული „საერთო სასოფლო ბაღი“ დავაარსოთ. მას ჩამოთვლილი აქვს, თუ რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ ჩვენ ამ გვარ ბაღისაგან.

ჩემის აზრით ამ საქმის რიგიანად მოწყობა დიდს ხარჯს მოითხოვს და ჩვენ ამას ვერ შევსძლებთ. კიდეც რომ შევკრიბოთ საკმაო ფული და ბაღი გავაჩინოთ, მეტად საეჭვოა, რომ მან შესამჩნევი სარგებლობა მოუტანოს ბახველების უმრავლესობას. ეს იმიტომ, რომ ამ გვარ შრომას, მისს ნაწარმოებს, ჩვენში ბაზარი არ აქვს. ხალხი ლუკმა პურისთვის იბრძვის და იმას ატანს ხელს, რაც მეტს სარფას, მეტს სარგებლობას აძლევს. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ უმრავლესობა სხვის მიწა-წყალზე მუშაობს.

ბ-ნი ჯუღელი ბრძანებს, რომ ბახვის სკოლით ბახველების მხოლოდ მცირე ნაწილი სარგებლობსო. ამაში ჩვენც ვეთანხმებით. დღეს ბახვის სკოლა სავსებით ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებას და, ადგილის სივიწროის გამო, ბევრი უსწავლელად რჩება. ამ დაბრკოლების ასაცილებლად, როგორც ვაიგე, ბახველებს უკვე მიუღიათ ღონისძიება: წლეულს დაქირავებულ კერძო სახლში ასწავლიან შეგირდებს, ხოლო მომავალს წლისთვის-კი განუზრახავთ მოხერხებულ ადგილზე სკოლის განყოფილება გახსნან. იმედია, ბახველები ამ კეთილ განზრახვას საქმედ აქცევენ. მაგრამ საზრუნავი კიდევ გვრჩება: უკიდურესი სიღარიბის გამო ბევრი თავს ანებებს სკოლას, ან, კურსის დამთავრების შემდეგ, სხვა სასწავლებელში ვეღარ გადადის. ამას წინად ერთ ბახველს, რომელსაც სკოლის მეორე განყოფილებიდგან შვილი გამოეყვანა, ვკითხე, — „რად გამოიყვანე უმაწვილი სკოლიდგან და სწავლა არ დაასრულებინე მეთქი“? — „რა ვქნა, ძამიავ, ვერ გავუძელი იმის წიგნების ყიდვას, გავტყდი წელში, ახლა მაინც აფერი სწავლაა, გოგო უჩიტელმა რაცხა ბადი მოიგონა და იქ ამუშავებს, აბა მუშაობას რომ კაცი გაეკვთება, ჩემისთანა ვინ იქნებოდა!“ — რასაკვირველია ჩვენ ამ სიტყვებს სავსებით არ ვეთანხმებით, მაგრამ, ჩვენის აზრით, უფრო მკვიდრი და ნაყოფიერი იქნება შევადგინოთ „ბახვის სკოლის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი ამხანაგობა“. ამორჩეულ კაცებს მივანდოთ წესდების შედგენა და ჩვენ ყოველწლობით შემძლებისდაგვარად შემწეობა აღმოუჩინოთ ამ საქმეს. მივცეთ საშუალება ღარიბ მოსწავლეებს დაასრულონ ბახვის ორკლასიანი სკოლა და შემდეგ, ვინც სწავლის უნარს გამოიჩენს და სურვილიც ექნება, გავგზავნოთ სხვა სასწავლებლებში იმ პირობით, რომ სწავლის დასრულების შემდეგ, როცა შეძლება ექნებათ, ამხანაგობისაგან გატანილი ფული ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ, ამასთანავე ისინი ზნეობრივად მოვალენი შეიქნებიან ამხანაგობის წევრებად გახდნენ. ამ გზით ეს საქმე თან და თან წარმატებაში შევა და მომავალში დიდ სიკეთეს მოგვიტანს. თუ მოვინდომებთ, ამ საქმის შესრულება არ გაგვიჭირდება. ბ-ნ ჯუღელის ანგარიშით, რიცხვი იმ ახალგაზდობისა, რომელთაც უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში ბახვის სკოლა დაუსრულებიათ და დღეს სხვა და სხვა ქალაქებში რაიმე სამსახურში ირიცხებიან, ორასს კაცს აღემატება. ამას დავუმატოთ ბახვის ინტელიგენცია და იქაური შეძლებულნი მკვიდრნი. ამ გვარად ამხანაგობას საკმაოდ ეყოლება წევრები. თვითეულმა წევრმა რომ წლიურად თითო ოროლი მანეთი გამოიღოს, ეს სასარგებლო საქმე მკვიდრს ნიადაგზედ დადგება.

ნაშეგირდალი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად შეერთებულ შტატების ერთ ქალაქში პოლიციის უფროსად ანუ დირექტორად, როგორც იქ ეძახიან, ქალი აურჩევიათ. ამ ქალის სახელი და გვარი ემმა ვან დუზენია. მცხოვრებნი დიდად კმაყოფილნი არიან თურმე თავიანთის ახალის დირექტორით და ერთხმად იმას გაიძახიან, რომ ასეთი ყოჩაღი და მოხერხებული პოლიციის უფროსი არასოდეს არა გვყოლია: იმის წყალობით ქალაქში არავითარი უწესოება და ურიგობა აღარა ხდებაო. ემმა დუზენი ახალგაზდა ლამაზი ქვრივია. პოლიციის სამსახურში დუზენი ამ ათის წლის წინად შევიდა, მალე თავისის სიმამაცით და მოხერხებით ისე გაითქვა სახელი, რომ თან და თან აამაღლეს და ბოლოს ხომ დირექტორად აირჩიეს.

* * *

დანიაში კაპენ-გაგენის მახლობლად არსებობს ერთი სკოლა, სადაც სწავლების საქმე ახალს პრინციპზედაა დამყარებული. ამ სკოლიდგან განდევნილია წიგნები და ყველაფერს უწიგნებოდ, პრაქტიკულად ასწავლიან. ასწავლიან-კი თითქმის ყველა საგნებს: მათემატიკას, ისტორიას, ინგლისურსა და ნემეცურს ენებს და სხვას. სკოლასთან სახელოსნოები არსებობს და ბევრ საგნებს, როგორც, მაგალითად, მათემატიკას, ამ სახელოსნოებში ასწავლიან მუშაობის დროს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 აპრილი.

**ლონდონი.** „Daily News“-ს კაპშტადტიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ სამხრეთ დასავლეთის ოლქების, განსაკუთრებით სველლენდამისა და კალედენის ფერმერების ყოფა-ქცევა საშიშოდ მიაჩნიათ. ერთს ცნობილს ჰოლანდიელს ფერმერს უთქვამს, რომ ჩვენი ოლქის ჰოლანდიელთა უმრავლესობა მხოლოდ მარჯვე შემთხვევას ელის ასაჯანყებლადაო; მარტო მე მაქვს თოფები და საომარი მასალა იმდენი, რაც 500 კაცს ეყოფაო.

„Times“-ს ატყობინებენ თეირანიდგან, რომ შაჰი უკვე გაემგზავრა თეირანიდგან ევროპაშიო. პირველად შაჰი კონტრექსვილლში მივა ინკოგნიტოდ და შემდეგ ოფიციალურად დაივლის ევროპის სატახტო ქალაქებსაო.

იმავე გაზეთს ატყობინებენ იამერსბერგიდგან: „იმ ბურების რიცხვი, რომელნიც ვეპერენში პოლკოვნიკ დალგეტს ახვევიან, რამდენისამე ათასის კაცისაგან შესდგება, მათ ათი ზარბაზანი აქვთ. ინგლისელებმა მამაცად მოიგერეს მტერი ორშაბათს და სამშაბათს ღამე. ხუთშაბათს ხანგრძლივი სროლა ჰქონდათ ზარბაზნებიდგანა და თოფებიდგან. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მტრის ყველა იერიშს მოვიგერებთ. სურსათი ბლომადა გვაქვს“.

„რეიტერის სააგენტო“ შენიშვნაში ამბობს, რომ დეპეშა უთუოდ ისეთის კაცისაგან არის გამოგზავნილი, რომელიც დალგეტის ჯართან უნდა იყოსო. ვეპერენში არაფერი იციან იმის შესახებ, ვითომ ბურებისთვის ზარბაზნები წაერთმიოთ და წაეხდინოთ.

**მილანი.** ბურების მისსია გააგაში წავიდა სენ-გოტარის გზით. ლეიდსი ბრიუსელში წავიდა.

**პარიჟი.** ლუბე ელისეის სასახლიდგან საპარადო ეტლით გამოვიდა, რომელსაც ოთხი სხვა ეტლი მისდევდა. ეტლებში ყველა მინისტრები ისხდნენ გალიფესა და მილიერანის გარდა. პრეზიდენტს კირასირები ახლდნენ. 2 საათზედ მივიდნენ სადღესასწაულო დარბაზთან. ლუბეს ფრაკი ეცვა და საპატიო ლეგიონის ორდენი ჰქონდა ზედ. პრეზიდენტს მიეგებნენ მილიერანი, პიკარი და გამოფენის ადმინისტაცია. ლუბე მიესალმა უცხო-სახელმწიფოთა წარმომადგენლებსა და კომისარებს. ორკესტრმა მარსელიეზა დაუკრა. მეტად თვალ-წარმტაცი სანახაობა იყო. მილიერანმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელზედაც ლუბემ უგო პასუხი. პრეზიდენტი იმათთან ერთად, ვინც ახლდნენ, სასტუმრო ოთახში შევიდა, სადაც მილოცვანი მიიღო უცხო სახელმწიფოთა კომისარებისაგან.

2 აპრილი

**პარიჟი.** ელისეის სასახლის გარეშემო და ელისეის ველზედ, იქ, სადაც პრეზიდენტმა გაიარა, აუარებელი ხალხი შეიკრიბა. ისმოდა: გაუმარჯოს ლუბეს, გაუმარჯოს ვალდეკს!“ როდესაც კირასირებმა გაიარეს, ხალხმა დაიძახა: „გაუმარჯოს ჯარს!“ გალიფე, ავადმყოფობისა გამო ვერ დაესწრო გამოფენის გახსნას.

**პარიჟი.** უცხო სახელმწიფოთა კომისრებმა ფეხზედ დგომით მოისმინეს ლუბეს სიტყვა. როდესაც პრეზიდენტი სიტყვის სათქმელად წამოდგა, დარბაზის ყველა კუთხიდგან ტაშის ცემა მოისმა. 3 საათსა და 25 წუთს, ლუბემ მარსის მოედანზედ გაიარა, 3 საათსა და 58 წუთს ნავში ჩაჯდა სენაზედ გასასვლელად. პრეზიდენტს ახლდნენ მინისტრები, ელჩები, უცხო-სახელმწიფოთა კომისრები, სენატორები, დეპუტატები და სხვანი. მარსის მოედანზედ ლუბეს ხალხი ტაშის ცემით მიეგება.

**ნიუ-იორკი.** როგორც „New-Iork Herald“-ს ვაშინგტონიდგან ატყობინებენ, სტატს-სეკრეტარმა გეიმ აცნობა ესპანიის მთავრობას, რომ შეერთებულ შტატებს არ შეუძლიანთ სიბუტისა და კაგაიან-სულუს კუნძულები ესპანიის საკუთრებად იცნონო.

**ნაუპორტი.** სამხედრო სასამართლომ კაპის ახალშენის ორს ინსურგენტს სატუსაღოში დაპატიმრება გარდაუწყვიტა ერთს ხუთის, მეორეს ათის წლით. განაჩენი რობერტსმა დაამტკიცა. ინსურგენტები მარტო იმიტომ დასაჯეს, რომ ბურების რაზმში შესულან. ჰფიქრობენ, რომ ასე სასტიკად ხალხის შესაშინებლად დასაჯეს ინსურგენტებიო.

**კაპშტადტი.** დღეს წავიდა წმ. ელენეს კუნძულზედ გემი 500 ტყვეთი; ამათ შორის ის ევროპიელნიც არიან, რომელნიც ბოსგოფთან იქმნენ წაყვანილნი ტყვედ.

**წმ. ელენეს კუნძული.** დღეს აქ მოვიდა გენერალი კრონიე მეუღლითა და სამის აფიცრით. თან ახლდათ პოლკოვნიკი. გუბერნატორის სახლში კრონიეს დახვდნენ გუბერნატორი და იმისი მეუღლე. აქ ტყვეებმა ერთი საათი დაჰყვეს, შემდეგ კენტ-კოტეჯში იქმნენ გაგზავნილი. სხვა ტყვეები გემზედ დარჩნენ; ნაზირზედ მათ ორშაბათს გადასხამენ.

**პარიჟი.** როდესაც პრეზიდენტი სენაზედ გემით მიდიოდა, მდინარის ნაპირის ქუჩა ხალხით იყო სავსე. მალ-მალ აღტაცებულის ძახილით ეგებებოდნენ პრეზიდენტს. ჯარის პავილიონთან რუსეთის ზღვაოსანნი გამწკრივებულ იყვნენ. უცხო სახელმწიფოთა პავილიონები ყვავილებით იყო მორთული. იქ მყოფი ხალხი ვაშას ძახილით ეგებებოდა პრეზიდენტს. იმ დროს, როდესაც გემმა პავილიონებთან გაიარა, სახელმწიფოთა ელჩები საქირო განმარტებას აძლევდნენ პრეზიდენტს. სენა საუცხოო სურათს წარმოადგენდა. უცხო ქვეყნელნი ხანგძლივის ვაშას ძახილით ეგებებოდნენ რესპუბლიკის პრეზიდენტს. იმპერატორ ალექსანდრე III-ის ხიდზედ შედგომის დროს პრეზიდენტს თავადი ურუსოვი მიეგება და მადლობა გამოუცხადა იმისთვის, რომ ხიდს ისეთი სახელი უწოდეს. შემდეგ ლუბემ ხიდზედ გაიარა. მარჯვნივ ლუბეს მისდევდნენ მილიერანი და ვალდეკ-რუსსო, მარცხნივ — რუსეთისა და ინგლისის ელჩები.

2 მარტი

**მოსკოვი.** დღეს, ბზობას, დილის 10 საათსა 45 წ. უმაღლესი გამოსვლა მოხდა წირვაზე კრებულის დიდი სასახლიდან მიძინების ტაძარში. ხალხით სავსე იყო ადგილი ეკლესიებს შორის. სახელმწიფო საბჭოს წევრები, მინისტრები, სენატორები, სტატს სეკრეტრები და საპატიო მზრუნველები შეიკრიბნენ მიძინების ტაძარში. ეკატერინეს დარბაზში შეიკრიბნენ სეფე ქალები, კარის კაცები და კავალრები; ანდრეევსკის დარბაზში იდგნენ ყველა სამხედრო კაცები; ალექსანდრეს დიდებულს დარბაზში შეიკრიბნენ ქალაქის ქალები, მოსკოვის საადმინისტრაციო და სამოსამართლო დაწესებულებათა უფროსნი, აზნაურობისა, ერობისა და ქალაქების წარმომადგენლებმა ადგილი დაიჭირეს დიდს გიორგის დარბაზში; ვლადიმერის დარბაზში შეიკრიბნენ წარმომადგენელნი ვაჭრებისა, მოქალაქეთა, ხელოსანთა და ბირჟის საზოგადოებისა; წმიდა ადგილის ადგილი დაიჭირა სასულიერო წოდებამ; კავალერგარდის დარბაზში დაყენებული იყო შიდა დარაჯი სუმსკის დრაგუნის პოლკიდგან, ხოლო მოედანზე პრუსიის მეფის მესამე დრაგუნის პოლკიდგან დარაჯი, კიბეზედ იდგნენ კარის მოსამსახურენი სადღესასწაულო ტანისამოსით.

**მოსკოვი.** მიძინების ეკკლესიის სამხრეთ კარებთან მათის უდიდებულესობის მისაგებებლად გავიდნენ მოსკოვის მიტროპოლიტი ვლადიმირი ჯვრით, ეპისკოპოსები ნესტორი და პართენი, სასახლის პროტოპრესვიტერი იანიშევი და დანარჩენი სამღვდელოება კორსუნის ჯვრებით და ღვთისმშობლის ხატით. გამოსვლის დროს ხელმწიფე ბრძანდებოდა მისი უდიდებულესობის ყაზახთა პოლკის მუნდირში და ანდრეევსკის ლენტი ჰქონდა, ხელმწიფას ეცვა თეთრი ტანისამოსი და თეთრი მანტია. დარბაზებში გავლის დროს მოსკოვის ქალაქის მოურავმა მიართვა პურ-მარილი და მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა. ხელმწიფემ უპასუხა მოურავს: „გმადლობთ მიღებისა და გამოთქმულ კეთილ-სურვილისათვის. იმპერატრიცა და მე ძლიერ ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენ შეგვიძლიან თქვენთან ერთად გავატაროთ ვნების კვირა ჩვენს ძვირფას მოსკოვში და მივეგებოთ დიდებული დღესასწაულის ბრწყინვალე დღეებს“. წმიდა კარებთან სამღვდელოებამ ჯვარი გარდასახა ხელმწიფეს და ხელმწიფას. ზარების რეკვაში პროცესი გამოჩნდა წითელს დერეფანთან. გაისმა ქუხილისებური „ურა.“ პროცესიას წინ მიუძღოდნენ გოფ და კამერფურიერები, იმათ მისდევდნენ კამერიუნკრები და კამერგერები და კარის კაცნი, რომელთა უკან წინ მიუძღოდნენ მათს უდიდებულესობათ გოფმარშალი გრაფი ბენკენდორფი და ობერ-გოფმარშალი თავადი დოლგორუკი. მათ უდიდებულესობათ უკან მიჰყვებოდნენ სეფე ქალები, გენერალ-ადიუტანტები გესსე და გრაფი ოლსუფიევი და მორიგენი. ხელმწიფას უკან მიჰყვებოდნენ პირველი ობერ-ცერემონმეისტერი გრაფი გენდრიკოლოვი. ეკკლესიის კარებთან მიტროპოლიტი ვლადიმირი სიტყვით მიესალმა მათს უდიდებულესობათ. ემთხვივნენ-რა ჯვარს, მათი უდიდებულესობანი ეკკლესიაში შებრძანდნენ, სადაც წირვას ისმენდნენ. წირვის შემდეგ, მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ ჩუდოვის მონასტერში, სადაც მიეგება მათ მონასტრის წინამძღვარი. მათი უდიდებულესობანი ემთხვივნენ ნაშთებს, შემდეგ ნიკოლოოზის სასახლეში გაბრძანდნენ და იქიდამ ეტლებით — კრემლის დიდს სასახლეში. გუშინ, დილის 7 საათზე, მათი უდიდებულესობანი ეწვივნენ უავგუსტოეს გენერალ გუბერნატორს. ხალხით სავსე იყო მთელი მოედინი გენერალ გუბერნატორის სახლის წინ და ტვერის ქუჩა და აღტაცებით ეგებებოდა და აცილებდა მათს უდიდებულესობათ.

**ლონდონი.** დილის გაზეთებში ბლუმფონტენიდგან მიღებული დეპეშაა დაბეჭდილი, რომ გუშინ გერლანდიის სამეფო პოლკის მზვერავი რაზმი, რომელთანაც ლორდი რასლინი იყო, ტყვედ იქმნა დაჭერილიო. რასლინი კრონშტადტში გაუგზავნიათ.

**ბლუმფონტენი.** რობერტსმა დეპეშით გააფრთხილა კრიუგერი, რომ პრეტორიაში ტყვედ დაჭერილს აფიცრებსა და ჯარის-კაცებს ავად ექიდებიანო.

**გააგა.** სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკების საგანგებო მისსია დღეს მოვიდა აქ. მისსიასთან ლეიდსიც არის. მისსიას მრავალი ხალხი მიეგება რკინის გზის სადგურზედ, რომელნიც ბურებს აღტაცებით იხსენიებდნენ. არ იციან, რამდენს ხანს დარჩება აქ მისია.

**პარიჟი.** გაზეთები ერთხმად ამბობენ, რომ გუშინდელმა დღესასწაულმა მშვენიერად ჩაიარაო. რადიკალები და სოციალისტები ძალიან აქებენ ლუბესა და მილიერანის სიტყვებს. ოპოზიცია სასაცილოდ იგდებს იმ გარემოებას, რომ მუშაობანი ჯერ არ არის დაბოლოვებული. ოპოზიციის ერთი გაზეთი ურჩევს მთავრობას, რომ გამოფენის დათვალიერების ნება ერთის თვის შემდეგ მიეცით ხალხსაო.

**პარიჟი.** გუშინ, იმპერატორ ალექსანდრე მე-III სახელობაზედ აგებულის ხიდის კურთხევის დროს, ხალხმა იცნო რუსეთის ახალი სამხედრო აგენტი პოლკოვნიკი მურავიოვი ამურსკი და დიდის აღტაცებით მიეგება. დასასრული არა ჰქონდა ძახილს: „გაუმარჯოს იმპერატორს! გაუმარჯოს რუსეთსაო“!

**ალივალნორთი.** ოფიციალურად ვეპენერთან ოთხის დღის ბრძოლის განმავლობაში ინგლისელთაგანი მოკლულია 18 და დაჭრილი — 1 32.

3 აპრილი

**დეაარი.** მსწრაფლ-მოსიარულე რაზმი ინგლისისა, რომელიც კარნარვონის ოლქში იყო, აქ მოვიდა ამ რაზმმა 500 ინგლისური მილი გაიარა. ოლქი ხუთის კვირის განმავლობაში იქმნა დამშვიდებული. მეამბოხენი გაფანტულ იქმნენ. მოთავენი დაპატიმრეს.

**პარიჟი.** ნაშუადღევს გამოფენაზედ აუარებელი ხალხი იყო. უმთავრესს კარებიდგან ერთ წუთში 3000 კაცი შედიოდა. მაგრამ წესი და რიგი მაინც სამაგალითო იყო. პარიჟს სადღესასწაულო ფერი აძევს. ამინდიც საუცხოვოა.

**პარიჟი.** საზოგადოება და გაზეთები რუსეთის განყოფილებას გამოფენაზედ ქებით იხსენიებენ.

გაზეთ „Liderte“-ში ამ სათაურით: „სამრეწველო რუსეთი სხვა ხალხთა შორის“ დაიბეჭდა დიდი წერილი რუსეთში საეკონომიო ევოლიუციის შესახებ. სხვათა შორის ამ წერილში ვკითხულობთ: „ჩვენ ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულვართ იმ გაკვირვებისა და განცვიფრებისაგან, რომელიც რუსეთის განყოფილების დათვალიერების დროს გამოვცადეთ. რამდენისამე წლის განმავლობაში რუსეთის მრეწველობა და ვაჭრობა იმდენად განვითარდა, რომ ანცვიფრებს ყველას, ვისაც შეუძლიან წარმოიდგინოს ამ მცირე ხანში განვლილი დიდი მანძილი. ეს განვითარება იმდენად თვალ-საჩინოა, რომ დიდად დამაფიქრებელია.

***


# განცხადებანი

ცფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით ამა 1900 წლის 12 მაისს მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც გაიყიდება ქალაქის (აბესალომოვისეული) ორ-სართულიანი აგარაკი მიწით, ზომით 203 ოთხ-კუთხი საჟენი, დაბა ბორჯომში, ვორონცოვის ქუჩაზედ, პარკის მახლობლად. ვაჭრობა სიტყვიერადაც შეიძლება და წერილობითაც, დაბეჭდილის კონვერტებით. აგარაკთან ერთად იყიდება მოძრავი ქონებაც: ავეჯეულობა, სასადილო, ჩაისა და სამზარეულოს ჭურჭელი. მიწა აგარაკს მიზომილი აქვს კავკასიის ნამესტნიკად ნამყოფის მიერ 1851 წლის 22 დეკემბერს დამტკიცებულ იმ წესების თანახმად, რომელიც ბორჯომში საავარაკო მიწების სარგებლობას შეეხება.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გამგეობის კანცელარიაში გასინჯონ ყოველდღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10-დგან 2 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება 1900 წლის 12 მაისამდე, დილის 12 საათამდე. ამ კონვერტებში უნდა იყოს: ბე 2000 მანეთი, აღნიშნული: სახელი, მამის სახელი, გვარი, წოდება და ადრესი იმისი, ვინც მამულის ყიდვას აპირობს, აგრეთვე უნდა აღნიშნოს უმაღლესი ფასი. იმათ, ვინც ქალაქს გარეთ სცხოვრობს და ვაჭრობა სურს, პირობანი მოთხოვნილებისამებრ გაეგზავნებათ.

(5—6.—1)

**ძმათა თავართქილაძეების** წიგნის მაღაზიებმა — ბათომსა, ოზურგეთსა და ახალ-სენაკში მიიღეს პასხალიდის პერტეს და სხვ. ფირმების,

კავკასიის საბრეშუმო სადგურის მიერ შემოწმებული,

**აბრეშუმის თესლი.**

ფასები თითო ყუთისა (6—7 მისხალი) 1 მ. 60 კ. დაწყებული 2 მ. და 20 კაპეიკამდე. აგრეთვე მივიღეთ, 100,000 ძირი ერთიდგან სამი წლისა

**ბჟოლის ნერგი**

და იყიდება 100 ძირი 20 კაპეიკიდგან ერთ მანეთამდე. (5—6.—3)




(50—267—22)

ახლად დაარსებულს ღვინის საწყობში

**„პატარა კახი“-ს**

სახელით ისყიდება ნამდვილი კახური ღვინო ბოთლი 15 კ—დან და ვედრო 1მ.—80 კ. აგრეთვე ბოთლობით ისყიდება კავკასიის რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოების საწყობებში: მიხეილის ქუჩა, იუნკრის სასწავლებლის ახლო, დიდუბეში — ელისაბედის ქუჩა, სახლი ტარიელაშვილისა და წავკისში. მთავარი საწყობი არის ნ. ვ. მთვარელიშვილის სახლის სარდაფში, ავჭალის შესახვევსა და მიწკვიცის ქუჩის კუთხეში, №№ 9/18. (3—6.—2)

## კახური ღვინის საწყობი სარდაფი „კურდღელაური“

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ იქ საუკეთესო ღვინო მსურველთ დაეთმობათ ბოთლი 15 კ., 20 კ. და სხვა ფასად.

ვედრო 1 მ. 80 კ., თუნგი 60 კ. და სხვა ფასად. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ჩუღურეთში, რიყის ქუჩაზედ, გაბაევის სახლში, № 6. ტფილისში.

(4—89—1) პატივისცემით ი. ა. სახუტაშვილი

## საყურადღებო განცხადება

თუმცა პასკებს (ბაბკებს) ბევრი აცხობს, მაგრამ ჯერ ბევრსაკი არა აქვს შესწავლილი ნამდვილი ხელობა პასკების კარგად გამოცხობისა, რის გამო მსყიდველი ხშირად სტყუვდება. ამისათვის მაქვს პატივი ვაუწყო საზოგადოებას, რომ

არ. ივ. ალიხანოვის

## საკანდიტეროში

ვორონცოვის ძეგლთან

სააღდგომოდ მზადდება დიდძალი პასკები და «კულიჩები»,

ღირსება ჩემს სახელოსნოში მომზადებულ პასკებისა, რომელიც საუკეთესო მასალიდან კეთდება ხოლმე, ყოველთვის საუცხოვო გემოშია, რაშიაც პატივცემული საზოგადოება ძლიერ ადვილად დარწმუნდება.

**ДРОЖЖЕВОЙ ЗАВОДЪ К. ШУРЪ**

(2—92—1) პატივისცემით არ. ივ. ალიხანოვი


Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го Апрѣля 1900г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე